

ალექსანდრე აჯიბეგაშვილი (აჯიბეგიშვილი)

კინოოპერატორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აჯიბეგაშვილი დაიბადა 1903 წლის 15 ოქტომბერს, ქალაქ გორში. სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. 1921 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში და კამკავშირის კომიტეტმა პროფესიის შესასწავლად გააგზავნა საქართველოს „სახკინმრეწვი“. მუშაობდა გადასაღებ მოედანზე მუშად, გადამღებ ჯგუფებში მასიურ კინოგადაღებებზე, პარალელურად დადიოდა სპორტულ სკოლაში. დაამთვრა კინოოპერატორის კურსები მოსკოვში. 1925 წლიდან მუშაობდა „სახკინმრეწვის“ კინოლაბორატორიაში, შემდეგ მოუწი მუშაობა ცნობილ ოპერატორებთან დიდმელოვთან, პოლიკევიჩთან და სხვებთან. პარალელურად სწავლობდა 26 კომისრების სახელობის უნივერსიტეტში. მეორე მსოფლიო ომის დროს გადაღებებს აწარმოებდა ყირიმის, შავი ზღვისა და კავკასიის ფრონტის მოწინავე ხაზზე. შემდგომ ოპერატორთა ჯგუფებთან ერთად იღებდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს და დღესასწაულებს. გადაღებული აქვს 1500 სიუჟეტი კინოჟურნალებისთვის „საბჭოთა საქართველო“, „სპორტი“ და „პიონერი“. დოკუმენტური ფილმები: „კავკასიონის ქედზე“, „იაღაღებზე“, „ცეცხლოვანი კოლხეთი“, „ბორის პაიჭაძე“, „რუსთავის ჩირადნები“, „საქართველოს ატომური ცენტრი“, „საბჭოთა მესაზღვრეები“, „ფსიქოლოგთა მსოფლიო სიმპოზიუმი თბილისში“ და სხვა. 1930 წელს კვალიფიციური კომისიის გადაწყვეტილებით დანიშნული იქნა თბილისისა და მოსკოვის დოკუმენტური ფილმების კინოოპერატორად. საკუთარი სცენარით გადაღებული აქვს ფილმები: „შოთა რუსთაველი“ (1963 წ.) და „ბულგარეთის დელეგაცია“. (აჭარაში - 1965 წელს.) იყო საქართველოს კინოსტუდიის სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების ოპერატორი. კინემატოგრაფში 48 წლის მუშაობის შედეგად მიღებული აქვს კინოოპერატორის უმაღლესი კატეგორია. კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია „Отличника кинематографии 20 лет в кино“.

ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასლა.

პიროვნების დამადასტურებელი საბუთები

1. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საკავშირო ბილეტი.
1932 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ეგზემპლარი. 1 ც.
2. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შრომის წიგნაკი.

- 1939 წ. 14 იანვარი. ნაბეჭდი. კადრების ინსპექტორ ნ. ჩხიკვაძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
3. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საშვებულებო ბილეთი.
1945 წ. 15 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. ხელმოწერა არ იკითხება. დაზიანებული 1 ც.
4. სამხედრო ნაწილის მიერ გაცემული ალექსანდრე აჯიბეგაშვილის კვების ბარათი.
1946 წ. 8 ოქტომბერი. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
5. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სსსრ ცენტრალური კომიტეტის წევრობის აღრიცხვის ფურცელი.
1958 წ. [?] ნაბეჭდი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
6. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შრომის წიგნაკი.
უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

ავტობიოგრაფია

7. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია.
1968 წ. 15 ივნისი. ავტობიოგრაფი. ერთვის ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
8. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის კადრების აღრიცხვის ფურცელი.
1973 წ. 25 დეკემბერი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელით შევსებული აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
9. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მასალა კინოლექსიკონისთვის.
1973 წ. [?] თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ. ერთვის ნაბეჭდი 5 გვ.
10. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ავტობიოგრაფია.
1973 წ. თბილისი. ავტობიოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
11. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შემოქმედებითი ბარათი.
[1975 წ.] ნაბეჭდი. ხელით შევსებული. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 7 გვ.
12. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. 4 გვ.

დახასიათებები

13. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დახასიათება, სამხედრო ტოპოგრაფიული ექსპედიციის წარმატებით გადაღებასთან დაკავშირებით.
1935 წ. 29 აგვისტო. ნაბეჭდი. პოლკოვნიკ – ინსპექტორის გელაშვილის ხელმოწერით.
რუსულ ენაზე. 1 გვ.
14. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საბრძოლო დახასიათება, რთულ საბრძოლო პირობებში წარმატებულ გადაღებასთან დაკავშირებით.
1942 წ. 15 იანვარი. ხელნაწერი. ქალაქ ფეოდოსის სამხედრო კომისრის დ. პონომარევის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. ერთვის ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
15. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საწარმოო დახასიათება, შავი ზღვის ფლოტში მუშაობასთან დაკავშირებით.
1945 წ. 2 ივნისი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის დირექტორი – ვ. მაჭავარიანი, დოკუმენტური ფილმების ხელმძღვანელი – ვ. კარსანიძე. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
16. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შემოქმედებითი დახასიათება.
1945 წ. 1 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
17. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შემოქმედებითი დახასიათება.
1946 წ. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
18. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დახასიათება, ჭიათურის ახალგაზრდა მოწინავე მუშა – მოსამსახურეების ჯგუფის ყაზბეგის მწვერვალზე ასვლის წარმატებით გადაღებასთან დაკავშირებით.
1953 წ. ოქტომბერი. ნაბეჭდი. ალპინადის ხელმძღვანელ ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმოწერით. 1 გვ.
19. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დახასიათება – რეკომენდაცია.
1963 წ. 9 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
20. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დახასიათება – რეკომენდაცია აფრიკაში თევზსატერ სეინერზე ოპერატორად მუშაობასთან დაკავშირებით.
1973 წ. 26 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სტუდიის დირექტორი – ყუფარაძე, პარტიზურის მდივანი – შ. შიოშვილი, ფაბკომის თავმჯდომარე – რ. ჭიაურელი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
21. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დახასიათება.
1973 წ. [?] დეკემბერი. ხელნაწერი. ერთვის ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. ალექსანდრე აჯიბეგაშილის შემოქმედებითი დახასიათება.
1974 წ. 21 მარტი. ხელნაწერი. ერთვის ნაბეჭდი. 2 ეგზემპლარი. მელანი. 1 გვ.

ბრძანებები

23. ამონაწერი 1938 წლის 25 თებერვლის თბილისის კინოსტუდიის ბრძანებიდან, გადამღებ ფაბრიკის დროებითი მოვალეობის აღმასრულებელ დირექტორ ალექსანდრე აჯიბეგაშილის გათავისუფლების შესახებ და მისივე თხოვნით სურათ „სამშობლოს“ ჯგუფში ოპერატორის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.
1941 წ. 5 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
24. კულტურის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ალექსანდრე აჯიბეგაშილის მედლით დაჯილდოების შესახებ, საბჭოთა მეომრების აღზრდაში აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1969 წ. 30 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
25. სსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის კომიტეტის ბრძანების ასლი, კინემატოგრაფიაში შეტანილი დეაწლისთვის ალექსანდრე აჯიბეგაშილის ორდენით „Отличник Кинематографии СССР დაჯილდოების შესახებ.
1971 წ. 31 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
26. სსსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის პროფკავშირის პრეზდიუმის დადგენილება სამამულო ომში 25 წლის გამარჯვებასთან დაკავშირებით ალექსანდრე აჯიბეგაშილის საშეფო – კულტურულ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ.
1971 წ. [?] თებერვალი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
27. საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორ გ. ყუფარაძის ბრძანება პირადი შემადგენლობისადმი, ოპერატორ ალექსანდრე აჯიბეგაშილის ფოტში მივლინების შესახებ, საზღვარგარეთ ექსპედიციაში გამგზავრებისთვის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.
1974 წ. 5 ივლისი. ნაბეჭდი. სტუდიის დირექტორ გ. ყუფარაძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 გვ.
28. კინოსტუდიის ხელმძღვანელობის ბრძანება პირადი შემადგენლობისადმი, ალექსანდრე აჯიბეგაშილის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.
1975 წ. 22 ივლისი. ნაბეჭდი. ჭავჭავანიძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 გვ.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანება, ქართულ საბჭოთა დოკუმენტურ – კინემატოგრაფში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის კინოოპერატორ ალექსანდრე აჯიბეგაშვილის საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დაჯილდოების შესახებ.
1975 წ. 24 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბარამიძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 გვ.
30. საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორის ბრძანება კინოფილმის „საქართველოს ატომური ცენტრი“ ჩაშვების შესახებ.
უთარილო ნაბეჭდი. ი. მესხიშვილის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 გვ.

ცნობა

31. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ცნობა ამიერკავკასიის ფლოტის ყველა ნაწილში გადაღებების ნებართვის შესახებ.
1941 წ. 29 აგვისტო. ამიერკავკასიის ფრონტის უფროსის მოადგილე ფელდმანის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
32. კრიმსკის ფრონტის პროპაგანდისა და განყოფილების უფროსის ბრაუდეს ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის თბილისის კინოსტუდიის განკარგულებაში 1942 წლის 15 მაისიდან ყოფნის შესახებ.
1942 წ. 8 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბრაუდის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
33. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დამადასტურებელი ცნობა ნოვოროსისკის ფრონტის წინა ხაზზე კინო – ფოტო გადაღებების შესახებ.
1943 წ. 8 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე – მატუშინი. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.
34. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ცნობა შავი ზღვის ფლოტის ნაწილებსა და გემებზე გადაღებების ნებართვის შესახებ.
1943 წ. 16 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: შავი ზღვის პოლიტსამმართველოს უფროსი ვ. სემინი, რუსულ ენაზე. 1 გვ.
35. ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მიერ გაცემული ცნობა ჯარების განსაკუთრებული დავალებების შესრულების გადასაღებად ალექსანდრე აჯიბეგაშვილისთვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.
1943 წ. 28 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

36. სსსრ სამხედრო – საზღვაო ფლოტის , სამხედრო ნაწილის ცნობა შავი ზღვის ოპერატორ ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სამხედრო საბრძოლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის შესახებ.
1943 წ. 22 სექტემბერი. ხელნაწერი. ერთვის ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
37. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ცნობა კინოფილმის „საქართველო სამამულო ომის დროს“ გადაღებისთვის დახმარების გაწევის შესახებ.
1944 წ. 5 ივნისი. ბლანკი. ხელს აწერენ: თბილისის კინოსტუდიის დირექტორი ხაჩიძე, ქრონიკის სექტორის ხელმძღვანელი კარსანიძე. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
38. უფროსი რედაქტორის რუსანოვის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სიუჟეტების „Знор чаи“ და „Марафонски заплыв“ უმაღლესი შეფასებით მიღებასა და პრემირებასთან დაკავშირებით.
1944 წ. 11 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
39. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ცნობა კინოფილმის „საბჭოთა საქართველოს 25 წლის გადაღებისთვის დახმარების გაწევის შესახებ.
1945 წ. 20 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინემატოგრაფიის სამმართველოს მმართველი – მაჭავარიანი, კინოქრონიკის ხელმძღვანელი – კარსანიძე. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
40. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სამამულო ომში შეტანილი წვლილისთვის მედლით დაჯილდოების დამადასტურებელი ცნობა.
1946 წ. 24 აპრილი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
41. ამიერკავკასიის მესაზღვრე ოლქის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელ პონომორევის დამადასტურებელი ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მიერ სამხედრო ნაწილებზე კინოსიუჟეტის გადაღებების შესახებ.
1968 წ. 16 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. პონომორევის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
42. საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის კინოსტუდიაში კინოოპერატორად მუშაობასთან დაკავშირებით.
1972 წ. 22 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
43. ქრონიკალურ –დოკუმენტური და სამეცნიერო – პოპულარული ფილმების სტუდიის ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის კინოსტუდიაში კინოოპერატორად მუშაობასთან დაკავშირებით.
1975 წ. 10 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

- 44. ფოთის ოფიცერთა ფლოტის სახლის ხელმძღვანელის ე. კუპინის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სამხედრო – საშეფო ხაზით სამხედრო მეზღვაურებისთვის კინოფილმების დემონსტრირების შესახებ.
1976 წ. 1 მარტი. ნაბეჭდი. ე. კუპინის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 ც.
- 45. კინემატოგრაფისტთა კავშირის პარტკომის მდივნის ი. მამალაძის მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ფოთში მივლინებასა და კინოფილმების ჩვენების შესახებ.
1976 წ. 2 მარტი. ნაბეჭდი. ი. მამალაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ც.
- 46. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სამხედრო – საშეფო სექციის თავმჯდომარის მოადგილის მიერ გაცემული ცნობა, ქალაქ ბათუმში მესაზღვრეებისთვის ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დოკუმენტური ფილმების ჩვენების შესახებ.
1976 წ. 4 მარტი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მიმართვა

- 47. სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექტორისადმი, ქრონიკალური ფილმისთვის „Ден великой отечественной войны“ სიუჟეტების გადაღების უზრუნველყოფის შესახებ.
1942 წ. 26 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
- 48. კინოსტუდიის დირექტორის ვ. მაჭავარიანისა და პირველი განყოფილების ხელმძღვანელის ი. იანკოვის მიმართვა შავი ზღის ფლოტის პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელობისადმი, რეჟისორ შ. ხომერიკის ოპერატორ ალექსანდრე აჯიბეგაშვილისა და ა. ფილიპოვას შავი ზღვის ფლოტში გადაღებებისათვის დროის გაგრძელების ნებართვის შესახებ.
1945 წ. 30 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
- 49. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის , ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორ, ანდრონიკაშვილის მიმართვა სსრ სახალხო მეურნეობისა და მიღწევების გამოფენის დირექტორისადმი, კინოფილმის „საქართველოს ატომური ცენტრი“ შექმნისთვის ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მიერ ექსპონატების კინოგადაღების უფლების მიცემის შესახებ.
1964 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
- 50. საქართველოს საზღვაო – სანაოსნოს ხელმძღვანელის ა. კაჭარავას მიმართვა საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების დირექტორისადმი ტანკერის „იზასლავ“ ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მიერ ეკიპაჟის საქმიანობის გადაღებისთვის უფლების ნებართვის შესახებ.
1967 წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

51. თევზჭერის სამმართველოს პარტიურის მდივნის ი. მამალაძის მიმართვა საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორ ზ. ყუფარაძისადმი, საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოში ალექსანდრე აჯიბგაშვილის მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით. 1974 წ. 21 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.
52. ალექსანდრე აჯიბგაშვილის მიმართვა საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორ ზ. ყუფარაძისადმი, ერთნაწილიანი ფილმის „ატლანტიკის წყლები“ მუსიკის ხელახლა შერჩევასა და ფილმის გადაწერასთან დაკავშირებით. 1975 წ. 29 მაისი. ავტოგრაფი. 1 გვ.
53. სტუდიის დირექტორ ყუფარაძის მიმართვა ოდესის საზღვაო – სანაოსნოს ხელმძღვანელის ა. დანჩენკოსადმი, ალექსანდრე აჯიბგაშვილის მიერ გემის სახელწოდებით „შოთა რუსთაველი“ გადაღების შესახებ. [?] 8 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. აჯიბგაშვილის მინაწერით. 2 გვ.
54. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივნის მიმართვა ალექსანდრე აჯიბგაშვილის საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის წოდებაზე წარდგენასთან დაკავშირებით. უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
55. კინოსტუდიის დირექტორ ვ. მაჭავარიანის მიმართვა შავი ზღვის ფლოტის ადმირალ ოქტიაბრისადმი, რეჟისორ შ. ხომერიკის, ოპერატორების ალექსანდრე აჯიბგაშვილისა და გ. უსეინაშვილის მიერ ომის წლებში ფლოტზე გადაღებული სიუჟეტებისთვის ჯილდოზე წარდგენის შესახებ. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შეტყობინებები

56. თბილისის კინოსტუდიის კინოჰრონიკის ხელმძღვანელის რეჟისორ კანდელაკის შეტყობინება სამხედრო ფლოტის სამმართველოსადმი, ალექსანდრე აჯიბგაშვილის მიერ სიუჟეტების დამუშავებასა და შავი ზღვის ფლოტში სამუშაოდ დაბრუნების შესახებ. 1943 წ. 3 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. კანდელაკის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 გვ.

57. უფროსი რედაქტორის ბოლშინცოვისა და რედაქტორ ბრაილოვსკის შეტყობინება ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „У чайних кустов“ კინოჟურნალში „ნოვოსტი დნია“ შეტანის შესახებ.
1944 წ. 16 ნოემბერი. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
58. კინოჟურნალის „ნოვოსტი დნია“ მთავრი რედაქტორის ბოლშინცოვისა და რედაქტორ ბრაილოვსკის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის კინოქრონიკის სექტორისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Марафонски заплив“ მიღების შესახებ.
1944 წ. 24 ნოემბერი. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
59. უფროსი რედაქტორის ბოლშინცოვისა და რედაქტორ ბრაილოვსკის შეტყობინება ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „სოხუმგესის მშენებლობა“ კინოჟურნალში „ნოვოსტი დნია“ შეტანის შესახებ
1946 წ. 23 ივნისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
60. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ვ. ოსმინინის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ ვ. კიკნაძისადმი, ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Восхождение на казбек“ კარგი შეფასებითა და მესამე პრემიით დაჯილდოების შესახებ.
1953 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.
61. კინოჟურნალის „ნოვოსტი დნია“ საპასუხისმგებლო რედაქტორის მოადგილის ვ. სიმონენკოსა და რედაქტორ ნ. მაქსიმოვას შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. გიგოლაშვილისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Овсеодства Грузии на зимних пастбицах“ მიღებაზე უარის განაცხადის შესახებ.
1956 წ. 27 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
62. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორ ვ. გოლოვნიას შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. გიგოლაშვილისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Снежние заноси в Грузии“ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
1956 წ. 27 აპრილი. ნაბეჭდი. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 ც.
63. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. გიგოლაშვილისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Четире близнеца“ ანაზღაურების შესახებ.
1957 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
64. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. გიგოლაშვილისადმი, სიუჟეტების „Началас ломка табака“ და „Сбор чайного листа в Абхазии“ ანაზღაურების შესახებ.
1957 წ. 5 აგვისტო. ნაბეჭდი. ა. ბოდროვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
65. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. გიგოლაშვილისადმი, ალექსანდრე

- აჯიბეგაშვილის სიუჟეტების „რუსთავი ქართველი მეტალურგების ქალაქი“ და „საქართველოს ჩაის პლანტაციები“ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 21 დეკემბერი. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
66. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება თბილისის დირექტორ ვ. კუპრვასა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტების „Збор мандаринов в Ачарии“ და Збор чаи“.ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
1960 წ. 6 იანვარი. ნაბეჭდი. ა. ბოდროვის ხელმოწერით. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
67. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის შეტყობინება თბილისის კინოქრონიკის სტუდიის დირექტორისადმი, სიუჟეტისთვის Газопровод в горах“ ალექსანდრე აჯიბეგაშვილისთვის პირველი ჯგუფის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ.
1962 წ. [?] ოქტომბერი. ნაბეჭდი. დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის ხელმოწერით.ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
68. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება საქართველოს კინოქრონიკის სტუდიის დირექტორ ი. მესხიშვილის, ოპერატორების – ალექსანდრე აჯიბეგაშვილისა და ა. პოგოსოვისადმი, სიუჟეტისთვის „Первенство по волной борне“ მესამე ჯგუფის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ.
1965 წ. 4 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
69. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ ვ. გიგოლაშვილისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტების „Началос ломка табака“ და Сбор чайного листа в Абхазии“ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 5 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
70. დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის შეტყობინება თბილისის კინოქრონიკის სტუდიის დირექტორისადმი, სიუჟეტისთვის „Первенство по волной борне“ აღ. აჯიბეგაშვილისთვის მესამე ჯგუფის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ.
[?] 4 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. სტუდიის დირექტორის მოადგილის ა. ბოდროვის ხელმოწერით. 1 გვ.
71. „Что – а ” – ის სამხატვრო ხელმძღვანელის ბ. ბელინცკისა და უფროსი რედაქტორის ბრაილოვსკის შეტყობინება თბილისის კინოსტუდიის დირექტორი ვ. კუპრავასა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Начало курортного сезона“ შესახებ.
[?] 8 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

შუამდგომლობები და თხოვნები

72. სახელმწიფო საბრძოლო საზღვაო ბრიგადის ხელმძღვანელ კონვოევის მოთხოვნა „Ска – 072” მეთაურისადმი, რეჟისორ – ხომერიკისა და ოპერატორ – ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ბორტზე აყვანის შესახებ.
1943 წ. 27 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
73. პოლიტგანყოფილების გვარდიის კაპიტნის მოადგილის მატიუშინის მოთხოვნა თბილისის დირექტორისადმი, სამხედრო - საბრძოლო ეპიზოდების ფირზე აღბეჭვდის გამო ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დივიზიაში მივლინების შესახებ.
1943 წ. ივნისი. ავტოგრაფი. ბლანკი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
74. კინოსტუდიის დირექტორ ვ. მაჭავარიანისა და პირველი განყოფილების ხელმძღვანელ პანოვის მოთხოვნა შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელის ადმირალ ოქტიაბრისადმი, რეჟისორ შ. ხომერიკის ოპერატორების ალ. აჯიბეგაშვილისა და ა. ფელიპოვასთვის შავი ზღვის ფლოტის მუშაობის სიუჟეტების გადაღებისთვის დროის გაგრძელების შესახებ.
1945 წ. 30 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ვ. მაჭავარიანი, ი. პანოვი. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
75. საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის შუამდგომლობის ფურცელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დვალიშვილისადმი, ქართულ დოკუმენტურ კინოში ალ. აჯიბეგაშვილის ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით შრომისთვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1973 წ. 26 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. 2 ეგზემპლარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.
76. კინოსტუდიის ხელმძღვანელობის შუამდგომლობის ფურცელი ალ. აჯიბეგაშვილის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ, მისი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

განცხადებები

77. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება „Гыор” – ის ხელმძღვანელ ნ. ნორაქიძისადმი, პირველი კლასის ოსტატის თანამდებობაზე განკარგულების გაცემის შესახებ.
1947 წ. 2 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

78. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორ ვ. კუპრავასადმი, კინოჟურნალისტისთვის „საბჭოთა საქართველო“ სიუჟეტების დამონტაჟებასა და გადაღებასთან დაკავშირებით კინოჟურნალის რედაქტორთან ერთად მივლინების ნებართვის მიღების შესახებ.
1960 წ. 2 ივნისი. ავტოგრაფი. 1 გვ.
79. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების კინო – სტუდიის დირექტორ ზ. ყუფარაძისადმი, ჟურნალისტისთვის სიუჟეტის გადაღების ნებართვის შესახებ.
1968 წ. 12 აპრილი. ავტოგრაფი. ერთი ნაბეჭდი. მელანი. 1 გვ.
80. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ბერიანიძისადმი, საოკეანო „ტრაულერის“ მეთევზეების გადაღების შესახებ.
1972 წ. 4 თებერვალი. ნაბეჭდი. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. 3 გვ.
81. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება კინოსტუდიის პარტიულ ბიუროსადმი, სტუდიაში მუშაობასთან დაკავშირებით.
1972 წ. 14 ნოემბერი. ნაბეჭდი. ალ. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. 1 გვ.
82. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინო – სტუდიის დირექტორ ყუფარაძისადმი, პენსიაზე გაშვების შესახებ.
1975 წ. 22 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ალ. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. 1 გვ.
83. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განცხადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. დვალიშვილისადმი, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დაჯილდოების ბრძანების სისრულეში მოყვანის შესახებ.
1976 წ. 19 აპრილი. ხელნაწერი. ალ. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. 1 გვ.

განაცხადები

84. კინოოპერატორ ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განაცხადი კინოსტუდიის დირექტორ ვ. გიგოლაშვილისადმი, კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველო“ სიუჟეტების გადაღებისთვის რაიონებში მივლინების ნებართვის აღების შესახებ.
1955 წ. 3 ივლისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
85. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის განაცხადი 1968 წლის 1 და 2 კვარტლის სიუჟეტებზე.

1968 წ. 5 ანვარი. ნაბეჭდი. აჯიბეგაშილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 5 გვ.

86. ალექსანდრე აჯიბეგაშილის შემოქმედებითი განაცხადი საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო – პოპულარული ფილმების კინოსტუდიის დირექტორ ზ. ყუფარაძესა და კინოსტუდიის მთავარ რედაქტორ მ. სალუქვაძისადმი, 1970 წლისათვის ორნაწილიანი შავ - თეთრი დოკუმენტური ფილმის გადაღება – დამონტაჟებასთან დაკავშირებით. 1969 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. აღ. აჯიბეგაშილის ხელმოწერით. 1 გვ.
87. ალექსანდრე აჯიბეგაშილის შემოქმედებითი განაცხადი საქართველოს სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტური ფილმების დირექტორ კუპრაძისადმი, საქართველოს მეთევზეებზე ორნაწილიანი ფერადი ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით. 1971 წ. 2 სექტემბერი. ნაბეჭდი. აღ. აჯიბეგაშილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 გვ.

დასკვნები

88. დოკუმენტური ფილმების განყოფილების უფროს კარსანიძის დასკვნა აღ. აჯიბეგაშილის სიუჟეტის „У чайных кустов“ პირველი კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ. 1944 წ. 10 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კომისიის წევრები – რონდელი, ვისოცკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
89. ქრონიკის სექტორის უფროსის კარსანიძისა და უფროსი რედაქტორის რუსანოვის დასკვნა აღ. აჯიბეგაშილის სიუჟეტის „Мотопроход“ მეორე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ. 1944 წ. 18 ნოემბერი. ნაბეჭდი. კომისიის წევრის ვისოცკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
90. დასკვნა ალექსანდრე აჯიბეგაშილის სიუჟეტის „არტილერიის დღე“ პირველი კატეგორიის მინიჭების შესახებ. 1945 წ. 17 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ქრონიკის უფროსი – კარსანიძე, უფროსი რედაქტორი – ი. რუსანოვი, კომისიის წევრები – რონდელი, ვისოცკი. რუსულ ენაზე. ერთვის ასლი. 1 გვ.
91. პრემიების განაწილების კომისიის წევრების კარსანიძისა და უსეინაშვილის დასკვნა აღ. აჯიბეგაშილის ფილმზე „Праздник победы“ პირველი კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ. 1945 წ. 28 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
92. პრემიის განაწილების კომისიის წევრების კარსანიძისა და უსეინაშვილის დასკვნა აღ. აჯიბეგაშილის სიუჟეტის „წყალტუბოს საკურორტო სეზონი“ პირველი კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.

- 1945 წ. 15 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
93. პრემიების განაწილების კომისიის თავმჯდომარის დასკვნა ალ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „ხვამლის გაომქვაბული“ შესამე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
1945 წ. 14 სექტემბერი. ნაბეჭდი. 3 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
94. პრემიების განაწილების კომისიის თავმჯდომარე ხაჩიძის, წევრების გოგოლაშვილისა და უსეინაშვილის დასკვნა ალ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „სოხუმგესის მშენებლობა“ შესამე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
1946 წ. 29 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
95. პრემიების განაწილების კომისიის თავმჯდომარე ხაჩიძის წევრების უსენაშვილისა და კარსანიძის დასკვნა ალ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Горячие дни“ „Дни в колхозе“ მეორე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
1946 წ. [?] ნაბეჭდი. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
96. ქრონიკის სექტორის ხელმძღვანელ გუგუშვილისა და უფროსი რედაქტორის რუსანოვის დასკვნა ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Марафонски заплив“ პირველი კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: უფროსი რედაქტორი – რუსაკოვი, კომისიის წევრები – რონდელი, ვისოცკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
97. პრემიების განაწილების კომისიის დასკვნა ალ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Подшефный паровоз“ შესამე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ კომისიის უფროსი – კარსანიძე, წევრები: ანთაძე, უსეინაშვილი. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
98. ქრონიკის სექტორის ხელმძღვანელის კარსანიძისა და უფროსი რედაქტორის რუსანოვის დასკვნა ალ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Гвардия морей“ შესამე კატეგორიის პრემიის მინიჭების შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
99. დასკვნა სიუჟეტზე „По Сталинскому пути“ (რეჟისორი – გ. გუნია, ოპერატორი – ალ. აჯიბეგაშვილი).
უთარილო. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რედაქტორ დარსაველიძის ხელმოწერით. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ოქმები, დასკვნები, ხელშეკრულებები.

100. ამონაწერი თბილისის მოტოკლუბის გაფართოებულ სხდომის ოქმიდან, აღ. აჯიბეგაშვილის კლუბში შეტანილი ღვაწლისთვის კლუბის მუდმივ საპატიო წევრად მიღებასთან დაკავშირებით.
1925 წ. 21 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
101. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სამივლინებო ფურცელი კრიმის ფრონტის მოქმედ ნაწილში კინოგადაღებებთან დაკავშირებით.
1942 წ. 25 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
102. ბათუმის შტაბის სახმელეთო თავდაცვის სექტორის მიერ გაცემული აღ. აჯიბეგაშვილის სამივლინებო ფურცელი, მოსკოვში გადაღებებთან დაკავშირებით.
1944 წ. 11 სექტემბერი. ბლანკი. ხელით შესვებული. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
103. სამხედრო ნაწილის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელის მასლოვის მიერ გაცემლი ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სევასტოპოლში გასამგზავრებელი სამივლინებო ფურცელი.
1945 წ. 20 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
104. აქტი ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მიერ საკოლექციო ღვინოტეკის გადაღების შესახებ.
1954 წ. [?] ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შესვებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
105. ჩრდილოეთ – ოსეთის კინოსტუდიის დირექტორ ო. პავლოვსკისა და ალექსანდრე აჯიბეგაშვილის შრომითი ხელშეკრულება, კინოფილმზე „Облик колхозного села“ სამი თვით ოპერატორად მუშაობის შესახებ, აგრეთვე პარალელურად კინოჟურნალისთვის „Северный Кавказ“ სიუჟეტების გადაღებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ო. პავლოვსკი, აღ. აჯიბეგაშვილი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
106. სსსრ კულტურის სამინისტროს დოკუმენტური ფილმების სტუდიის სხდომის აქტი, აღ. აჯიბეგაშვილის სიუჟეტის „Библиотека коллекционных вин“ ჩვენებასა და მიღების შესახებ.
1961 წ. 23 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
107. ამონაწერი დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის სხდომიდან, აღ. აჯიბეგაშვილის საუკეთესო სიუჟეტების „Новости дня“ და „На трасе газопровода“ გადაღებისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ.
1962 წ. 23 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 ეგზემპლარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ჯილდოები, სიგელები.

108. საჯარისო ნაწილის მეთაურის გუტირჩიკისა და მისი მოადგილის ვარიგინის მიერ გაცემული სიგელი ალ. აჯიბეგაშვილისადმი, ამიერკავკასიის მესაზღვრეთა ოლქში სამხედრო მესაზღვრეების საშეფო – კულტურულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისთვის. 1969 წ. 23 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
109. კულტურის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გაცემული სიგელი ალ. აჯიბეგაშვილის სსსრ შეიარაღებული ძალების კულტურულ – საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის. 1970 წ. [?] იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
110. საჯარისო მეთაურის პოდპოლკოვნიკ კოლომიტკინის მიერ გაცემული სიგელი ალ. აჯიბეგაშვილისადმი, სსრ საქართველოს 50 წლის იუბილეს საპატივცემულოდ სამხედრო – საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის. 1971 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
111. სსსრ უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ალექსანდრე აჯიბეგაშვილის ჯილდოების ჩამონათვალი. 1972 წ. 20 სექტემბერი. ნაბეჭდი. ალ. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
112. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1962 წლის 23 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დაჯილდოების ფურცელი. 1973 წ. 27 დეკემბერი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ალ. აჯიბეგაშვილის ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
113. სსსრ სამინისტროსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტისა და კულტურის პროფესიონალთა საბჭოს მიერ გაცემული საპატიო სიგელი ალ. აჯიბეგაშვილისადმი, კინემატოგრაფში მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომისთვის. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
114. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზდიუმის მიერ გაცემული საპატიო სიგელი ალ. აჯიბეგაშვილისადმი, სსსრ შეიარაღებულ ძალებში კულტურულ – საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შემოქმედება

115. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დღიური, მოგონება ატლანტიკაში მოგზაურობის შესახებ.

- პირი: მურმან ასიტაშვილი, მარია კულიკოვა, ლევან მაჩაიძე, მიხეილ დიმიტრიევი, გურამ თედორაძე, ნუგზარ ჯორბენაძე, მესხიშვილი, კუპრავა, ჯოჯუა, ბენაშვილი, ვასო კაპანაძე. 1963 წ. 25 მარტი. რვეული. ავტოგრაფი. 153 გვ.
116. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის სიტყვა, წრმოთქმული დიდმელოვის ოთხმოცი წლის იუბილეზე.
პირი: შ. ბერიშვილი, დ. რონდელი.
1964 წ. 16 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.
117. ალ. აჯიბეგაშვილის სცენარი, საქართველოს სანაპიროზე საოკეანო თბომაველის „შოთა რუსთაველი“ შემოსვლის შესახებ.
პირი: გერმანე გოგიტიძე.
1968 წ. 12 აპრილი. ავტოგრაფი. ერთვის ნაბეჭდი. მენლანი. 3 გვ.
118. სანდრო გვალიას მოგონება „На добрую память о прошлом“ ალ. აჯიბეგაშვილის მიერ აღპინისტების იალბუზზე ასვლის ისტორიული კადრების გადაღების შესახებ.
პირი: ბორის კრესი, ს. გელაშვილი.
1972 წ. 16 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
119. აკაკი დვალიშვილის სიტყვა ალ. აჯიბეგაშვილის შემოქმედების შესახებ.
1973 წ. 11 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
120. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის მიერ დაწერილი გაფართოებული სიუჟეტი ფილმისთვის „ფოთის ნავსადგური“ გაგზავნილი დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების კინოსტუდიის დირექტორ ყუფარაძისადმი.
პირი: ა. მექვაბრიშვილი, მ. მამფორია, ვ. გოგია, ა. ღუმბაძე, ნ. ნიაკაძე, მ. მერგაული, ი. ნაჭყებია, ა. აივაზიანი.
1973 წ. 6 მარტი. ავტოგრაფი. 4 გვ.
121. გემის კაპიტნის გოდლეგსკის გამოსმაურება ალ. აჯიბეგაშვილის წითელდროშოვანი ეკიპაჟის კინოსიუჟეტების გადაღების შესახებ.
1943 წ. 6 აგვისტო. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
122. ალექსანდრე აჯიბეგაშვილის დღიური მოგონება გემზე - „შოთა რუსთაველი“ ყოფნის დროს.
პირი: სერგეი ბერდნიკი, ვალოდია შუბლაძე, დავით ღლონტი.
1974 წ. 20 სექტემბერი – 1975 წ. 15 თებერვალი. რვეული. ავტოგრაფი. 81 გვ.

სიები და გეგმები

123. კავკასიის ფრონტის პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელის ბრიგადის კომისარის ემელიანოვის მიერ გაგზავნილი პრიმორსკის 51 და 44 არმიის კინოგადაღების გეგმა.
1942 წ. [?]. თებერვალი. ნაბეჭდი. ბეჭდდასმული. რუსულ ენაზე. 3 გვ.
124. კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველო“ სუბექტების გადაღების ჩანაწერი, შეკვრისა და გაფართოების გეგმა.
უთაილო. ხელნაწერი. მელანი. 9 გვ.

წერილები.

125. ქრონიკალურ – დოკუმენტური ფილმების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის რ. კაცმანის წერილი ალ. აჯიბგაშვილისადმი, სიუჟეტების „Сбор чай” და „Ломка табака” შესახებ.
პირი: არზუმანოვი.
1940 წ. 28 აგვისტო. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
126. ქრონიკალურ – დოკუმენტური ფილმების სამმართველოს უფროსის მოადგილის კაცმანის წერილი ალექსანდრე აჯიბგაშვილისადმი, ფილმის „Ден нового Мира” შესახებ.
1941 წ. 20 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
127. ქრონიკალურ – დოკუმენტური ფილმების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის რ. კაცმანის მადლობის წერილი ალ. აჯიბგაშვილისადმი, კინოფილმის „Ден нового Мира” პროფესიონალურ გადაღებასთან დაკავშირებით.
1941 წ. 21 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
128. ალ. აჯიბგაშვილის წერილი უცნობი პირისადმი, კინო – ჟურნალისტოვის ქალაქ რუსთაის სამშობიარო სახლში მრავალშვილიანი დედის გადაღებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 30 თებერვალი. ავტოგრაფი. 1 გვ.
129. კინოჟურნალის „ნოვოსტი დნია” პასუხისმგებელი რედაქტორის მარიამოვისა და რედაქტორ ნ. მაქსიმოვას საქმიანი წერილი ალექსანდრე აჯიბგაშვილისადმი, სიუჟეტების „კურორტი წყალტუბო” და „ფეხბურთი – ტბილისი – ირანი” ფულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 2 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
130. კინოჟურნალის „ნოვოსტი დნია” პასუხისმგებელი რედაქტორ ე. მარამიოვასა და რედაქტორ ნ. მაქსიმოვას წერილი ალექსანდრე აჯიბგაშვილისადმი, სიუჟეტების „კურორტი წყალტუბო” და „ფეხბურთი თბილისი – ირანი” შესახებ.

- 1957 წ. 11 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ვ. მარიამოვა, ნ. მაქსიმოვა. რუსულ ენაზე. 1 გვ.
131. კინოჟურნალის „ნოვოსტი დნია“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის ე. ოზირევისა და რედაქტორ ნ. მაქსიმოვას წერილი ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, მისალოც წერილიში შეტანილი შეცდომის შესახებ.
1958 წ. 21 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
132. ფილმის „გაიცანით – კინო“ რედაქტორის კოვტუნოვას წერილი ალ. აჯიბეგაშვილისადმი, რუსთავეში გადაღებული კადრების შესახებ.
1963 წ. 23 იანვარი. ნაბეჭდი. ბლანკი. კოვტუნოვას ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
133. „Прогноз – а – с მთავარი რედაქტორის კოზირევისა და რედაქტორ ტიხომიროვას წერილი ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი, სიუჟეტის „Механизированный сбор чая“ შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კოზირევი, ტიხომიროვა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

დეპეშები

134. ანტონოვის დეპეშა უსეინაშვილისადმი, ალ. აჯიბეგაშვილის თბილისის სიუჟეტის წარმატებით მიღების შესახებ.
1948 წ. 15 თებერვალი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
135. მარიამოვის დეპეშა ალ. აჯიბეგაშვილისადმი, ფილმების „ჩაის კრეფა“ და „აფხაზეთის საკურორტო სეზონი“ დროულად გადაღებების შესახებ.
1959 წ. 3 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
136. პავლენკოს მისალოცი დეპეშა ალ. აჯიბეგაშვილისადმი, სამოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1973 წ. 13 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
137. სსრ „გოსკინოსა“ და პირადად პავლენკოს სამოცდაათი წლის იუბილის მისალოცი დეპეშა ალექსანდრე აჯიბეგაშვილისადმი.
1973 წ. 23 ნოემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
138. ავეტიკოვის დეპეშა ხუჭუასადმი, აჯიბეგაშვილის სიუჟეტების „თევზჭერა აფრიკაში“ და „ფოთის პორტი“ შესახებ.
1973 წ. 23 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

139. კუპრადის დეკემსა სოფია პრიტულიანისადმი, აღ. აჯიბგაშვილის მიერ გაზაფხული
პორტუგალიაში გადაღებული მასალის მიღების დადასტურების შესახებ.
1975 წ. 1 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ერთვის ასლი. 1 ც.